

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი



საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში მიკროკრედიტების სისტემის (MICROBOL)
არსებული პრაქტიკის კვლევის ანგარიში

კვალიფიკაციების განვითარების სამსახური

თბილისი

2021

კვლევის ანგარიში

მიკროკრედიტები, მცირეკრედიტიანი პროგრამები არის მცირე მოცულობის სასწავლო აქტივობები (კურსები) რომელის წარმატებით დასრულებაც დასტურდება კრედიტებით. EHEA-ს კონტექსტში, შესაძლებელია შეთავაზებულ იქნება უ.ს.დ.-ების მიერ, ან აღიარებულ იქნეს წინარე განათლების ფარგლებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან აღიარდეს ლისაბონის კონვენციის შესაბამისად.

მიკროკრედიტების დანიშნულებაა კურსზე დარეგისტრირებული პირის აღჭურვა სპეციფიური ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით, რომლებიც პასუხობენ, სოციალურ, კულტურულ, პიროვნულ და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.

მიკროკრედიტები სამუშაო ადგილზე ან მის მიღმა კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტიანი ინსტრუმენტია, რომლებსაც იყენებენ დასაქმების ბაზრის წარმომადგენლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და არაკომერციული ორგანიზაციები.

მიკროკრედიტების დაგროვება შეიძლება მოიცავდეს ნანოკვალიფიკაციების მინიჭებას, ნანოკვალიფიკაციები საუნივერსიტეტო კურსებზე ხანმოკლე კურსებია, რომლებიც ორიენტირებულნი არიან დასაქმებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებაზე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) 2020 წლიდან ჩართულია ბოლონის პროცესის განხორციელების ჯგუფის (BICG) ხარისხის განვითარების თემატური საექსპერტო ჯგუფის (TPG C on QA) პროექტში - "MICROBOL - Micro-credentials linked to the Bologna Key Commitments". პროექტი ხორციელდება ევროპის კომისიის ფინანსური მხარდაჭერით და მიზნად ისახავს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ძირითადი ვალდებულებების ჭრილში უმაღლეს განათლებაში მიკროკრედიტების სისტემის დანერგვის ხელშეწყობას.


აღსანიშნავია, რომ ცენტრის ინიციატივით, უმაღლეს განათლებაში მიკროკრედიტების სისტემის თაობაზე დისკუსია 2021 წელს, ცენტრის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე გაიმართა. დაინტერესებული მხარეების მხრიდან მიღებული უკუკავშირის და ბოლონის ძირითადი ვალდებულებების გათვალისწინებით, ცენტრი აღნიშნული მიმართულებით გეგმავს რიგი აქტივობების განხორციელებას მცირეკრედიტიანი პროგრამების დანერგვის და მათი სწავლის შედეგების ფორმალური განათლების ფარგლებში აღიარების მიმართულებით.

მიმდინარე წლის 6 სექტემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ნახევრად სტრუქტურირებული ელექტრონული კითხვარი დაუგზავნა საქართველოში ავტორიზებულ 64 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, განათლების სივრცეში მიკროკრედიტების სისტემის არსებული პრაქტიკის შესახებ უკუკავშირის მიღების მიზნით.

ელექტრონულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 42%-მა, ჯამში სულ 27-მა დაწესებულებამ.


გამოკითხულ დაწესებულებათაგან 56% მდებარეობს თბილისში 18%-ბათუმში, 11% ქუთაისში, 4%-თელავში, 4% -ზუგდიდში, ხოლო 7%- გორში.

დიაგრამა 1.1. გამოკითხვაში მონაწილე უ.ს.დ.-ების განაწილება ქალაქების მიხედვით




გამოკითხული 27 დაწესებულებიდან 52% უნივერსიტეტია, 41%- სასწავლო უნივერსიტეტი, ხოლო 7% -კოლეჯი.

დიაგრამა 1.2. გამოკითხვაში მონაწილე უ.ს.დ.-ები განაწილება დაწესებულების ტიპის მიხედვით




გამოკითხული დაწესებულებებიდან 48% საჯარო სამართლის იურიდიული პირია, 45% კერძო სამართლის იურიდიული პირი (შპს) ხოლო 7% - კერძო სამართლის იურიდიული პირი ა(ა)იპ.

დიაგრამა 3.3. გამოკითხული უ.ს.დ.-ების განაწილება სამართლებრივი ფორმის მიხედვით



ჩვენს შეკითხვაზე ეთანხმებიან თუ არა შემდეგ დებულებას „საქართველოს უნივერსიტეტებში მიკროკრედიტების დანერგვა სისტემას უფრო მოქნილს გახდის“ გამოკითხული დაწესებულებების 89%-დაეთანხმა აღნიშნულ დებულებას ხოლო 11%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

დიაგრამა 1.4. ეთანხმებით თუ არა დებულებას - „საქართველოს უნივერსიტეტებში მიკროკრედიტების დანერგვა სისტემას უფრო მოქნილს გახდის?“




ანალოგიური შედეგი დაფიქსირდა შემდეგ დებულებასთან დაკავშირებითაც რომელიც ეხებოდა ცენტრის მიერ მიკროკრედიტების პროგრამების დანერგვის ხელშეწყობას, გამოკითხული დაწესებულებების 89%-მა მიუთითა, რომ ეთანხმება აღნიშნულ დებულებას, ხოლო 11%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

მიკროკრედიტების თემის სამართლებრივ დონეზე ფორმალიზების საკითხთან დაკავშირებით გამოკითხული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსაზრებები შემდგენიარად გადანაწილდა:

გამოკითხულთა 96% საჭიროდ მიიჩნევს მიკროკრედიტების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას ხოლო 4%-ს გაუჭირდა აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა.

დიაგრამა 1.5. ეთანხმებით თუ არა დებულებას - „საჭიროა მიკროკრედიტების თემა სამართლებრივ დონეზე დარეგულირდეს და ფორმალიზდეს.“



ჩვენს ერთ-ერთ კითხვაზე პასუხად, უსდ-ების წარმომადგენლებს ჩამოთვლილი დებულებებიდან უნდა მოენიშნათ ის დებულებები რომლებიც მათი აზრით ყველაზე უკეთ შეესაბამებოდა მიკროკრედიტების არსსა და დანიშნულებას, გამოკითხვაში მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდა მოენიშნათ ერთზე მეტი დებულება. გამოკითხვის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

27 გამოკითხული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან- 75%-ის აზრით მიკროკრედიტების არსსა და დანიშნულებას ყველაზე მეტად განსაზღვრავს შემდეგი დებულება: უსდ-ების მიერ შეთავაზებული არაფორმალური განათლების (მცირე ოდენობის კრედიტის მქონე) პროგრამები, რომლის მიზანია კონკრეტული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა ან/და კომპეტენციების მიღება და პასუხობდეს საზოგადოების, პიროვნული, კულტურულ ან შრომის ბაზრის საჭიროებებს და დამოწმებულია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სერტიფიკატით.

გამოკითხულთა 50%-მიიჩნევს რომ მიკროკრედიტების არსსა და დანიშნულებას ყველაზე უკეთ განსაზღვრავს შემდეგი დებულება: საგანმანათლებლო დაწესებულებების მიღმა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული მცირე მოცულობის მომზადების/გადამზადების პროგრამები, რომლების აღიარება (ჩათვლა) შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის;

29%-ის აზრით მიკროკრედიტები არის უმაღლესი განათლების პროგრამის კონკრეტულ მოდულში შემავალი სასწავლო კურსებია;

გამოკითხულთა 21%-ის აზრით, მცირეკრედიტიანი პროგრამების დანიშნულებაა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები;


გამოკითხულთა 10% მიიჩნევს, რომ მცირეკრედიტიანი პროგრამები არის განათლების შემდგომი სარეზიდენტო პროგრამა.

ცხრილი 1.1. გთხოვთ, მონიშნოთ ქვემოთ ჩამოთვლილი დებულება, რომელიც თქვენი აზრით განსაზღვრავს მიკროკრედიტების არსსა და დანიშნულებას. (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მონიშვნა).

უმაღლესი განათლების პროგრამის კონკრეტულ მოდულში შემავალი სასწავლო კურსი	8 (28.6%)
განათლების შემდგომი სარეზიდენტო პროგრამა	3 (10.7%)
უსდ-ების მიერ შეთავაზებული არაფორმალური განათლების (მცირე ოდენობის კრედიტის მქონე პროგრამები) პროგრამები, რომლის მიზანია კონკრეტული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა ან/და კომპეტენციების მიღება და პასუხობეს საზოგადოების, პიროვნული, კულტურულ ან შრომის ბაზრის საჭიროებებს და დამოწმებულია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სერტიფიკატით;	21 (75%)
საგანმანათლებლო დაწესებულებების მიღმა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული მცირე მოცულობის მომზადების/გადამზადების პროგრამები, რომლების აღიარება (ჩათვლა) შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის;	14 (50%)
პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები.	6 (21.4%)

გამოკითხვის ფარგლებში შევეცადეთ დაგვედგინა ის მცირეკრედიტიანი პროგრამები რომლებიც გამოკითხვაში მონაწილე უსდ-ების ბაზაზე ხორციელდება რამდენად პასუხობენ კითხვარში მათ მიერ მონიშნულ განმარტებებს, მიღებული პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა, კერძოდ გამოკითხული 27 დაწესებულებიდან 46% -მა უპასუხა რომ მათ დაწესებულებებში განხორციელებული მცირეკრედიტიანი კურსები პასუხობენ მათ მიერ შერჩეულ განმარტებას მიკროკრედიტების არსისა და დანიშნულების შესახებ.


დიაგრამა 1.6. თქვენ მიერ შეთავაზებული მოკლე კურსები რამდენად პასუხობს კითხვარში მიკროკრედიტების შესახებ თქვენ მიერ მონიშნულ განმარტებას?



კითხვაზე, მოცემული მომენტისთვის გამოკითხული დაწესებულებები ახორციელებენ თუ არა მცირეკრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამებს პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხულთა 67%-მა მიუთითა რომ ამჟამად არ ახორციელებს, მაგრამ მომავალში გეგმავს; 15%-მა მიუთითა რომ ახორციელებს მცირეკრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამებს, 11%-მა მიუთითა, რომ ამჟამად არ ახორციელებს და არც მომავალში გეგმავს, ხოლო 7%-მა მიუთითა რომ ამ ეტაპზე არ ახორციელებს თუმცა წარსულში ახორციელებდა.

დიაგრამა 1.7. ახორციელებს თუ არა თქვენი საგანმანათლებლო დაწესებულება მცირეკრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამებს?

- ამ ეტაპზე არ ახორციელებს, თუმცა მომავალში გეგმავს
- ამ ეტაპზე არ ახორციელებს, თუმცა წარსულში ახორციელებდა
- ამჟამად არ ახორციელებს და არც მომავალში გეგმავს
- დიახ, ახორციელებს



კითხვარის მიხედვით, 10-დან მე-17 შეკითხვის ჩათვლით პასუხები უნდა გაეცათ მხოლოდ იმ დაწესებულებების წარმომადგენლებს, რომლებიც ახორციელებდნენ ან ამჟამად ახორციელებენ მცირეკრედიტიან პროგრამებს.

გამოკითხვაში მოზაწილეებს უნდა მოენიშნათ მათ დაწესებულებებში მცირეკრედიტიანი პროგრამის შემუშავების საფუძველი? (კითხვარში შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის მონიშვნა, ასევე ჩამოთვლილთაგან განსხვავებული ვერსიის მითითებაც), აღნიშნულ კითხვას მხოლოდ 9 გამოკითხულმა უპასუხა, რომელთაგანაც 7-მა გამოკითხულმა (70%) მიუთითა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილება, რომელიც ეფუძნება ბაზრის კვლევას, 4-მა გამოკითხულმა (40%) მიუთითა, რომ მცირეკრედიტიანი პროგრამების შექმნის საფუძველია სწავლის მსურველის დაკვეთა ხოლო 1-მა გამოკითხულმა (10%) მონიშნა, რომ მცირეკრედიტიანი კურსები იქმნება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აღიარების (მაგ.: უცხო ენის კურსები) მიზნით. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთაგან არცერთს არ მიუთითებია მცირეკრედიტიანი კვალიფიკაციების მქონე კურსების შემუშავების საფუძველად კორპორატიული დაკვეთა.

კითხვაზე თუ რომელი ფორმით ხორციელდება მცირეკრედიტიანი კურსები 28 გამოკითხული დაწესებულებიდან მხოლოდ 7-მა მათგანმა უპასუხა, რომელთაგანაც 3-მა მუთითა რომ სწავლება ხორციელდება შერეული ფორმით, ხოლო 4-მა პირისპირ სწავლების ფორმით.

ასევე 7-მა დაწესებულებამ უპასუხა შეკითხვას, რომელიც ეხებოდა მცირეკრედიტიანი პროგრამების მსმენელთა ასაკობრივ კატეგორიას, გამოკითხვის მიხედვით 4 დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა რომ მათი უ.ს.დ.-ს მიერ განხორციელებული მცირეკრედიტიანი პროგრამების მსმენელებს მეტწილად წარმოადგენენ 18-29 წლის პირები, ერთმა დაწესებულებამ მიუთითა, რომ მისი მცირეკრედიტიანი პროგრამების მსმენელები ძირითადად 30-45 წლის ადამიანები არიან ხოლო 2 დაწესებულებას გაუჭირდა მსმენელთა ასაკობრივი ჯგუფების დიფერენცირება.

27 დაწესებულებიდან ასევე 7 მათგანის წარმომადგენელმა უპასუხა კითხვას მცირეკრედიტიანი პროგრამების მსმენელთა უმრავლესობა დასაქმების სტატუსის შესახებ, 4 მათგანის ცნობით მსმენელთა უმრავლესობა დაუსაქმებელია, 2-მა მათგანმა აღნიშნა რომ უმრავლესობა დასაქმებულია, ხოლო 1-მა გამოკითხულმა

მიუთითა, რომ მსმენელთა უმრავლესობას სხვა დაწესებულების სტუდენტის სტატუსის მქონე პირები წარმოადგენენ.


მცირეკრედიტიანი პროგრამაზე სწავლის მიზნების შესახებ გამოკითხული 7 დაწესებულებიდან 3-მა (43%) აღნიშნა, რომ კურსის მსმენელთა მიზანია კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული განვითარება, 2-მა (28.5%) მათგანმა აღნიშნა, რომ მსმენელები კურსებს ეუფლებიან უწყვეტი განათლების პროცესის ფარგლებში, ხოლო 2-მა(28.5%) გამოკითხულმა მიუთითა, მსმენელები რომ მცირეკრედიტიან პროგრამებზე დასაქმების მიზნით სწავლობენ.

კითხვაზე, თუ რამდენად მოთხოვნილია მცირეკრედიტიანი პროგრამები, 7-დან 5 გამოკითხულის (71%) აზრით მცირეკრედიტიან პროგრამებზე მოთხოვნა მაღალია, ხოლო 2 (29%) გამოკითხული მიუთითებს, რომ არ ფლობს საკმარის ინფორმაციას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე 7 გამოკითხულიდან 3-მა მიუთითა, რომ წინა წლებთან შედარებით მცირეკრედიტიან კურსებზე მოთხოვნამ მოიმატა, 2-მა მიუთითა, რომ წინა წლებთან შედარებით მცირეკრედიტიან პროგრამებზე მოთხოვნა არ შეცვლილა, 1-მა გამოკითხულმა მიუთითა, რომ წინა წლებთან შედარებით მოთხოვნამ იკლო, ხოლო 1 გამოკითხულის თქმით, არ ფლობს საკმარის ინფორმაციას აღნიშნული საკითხის შესაფასებლად.

6-დან 2-მა გამოკითხულმა მიუთითა, რომ გაიზარდა მოთხოვნა პირისპირ სწავლების ფორმატზე, 1-მა მიუთითა, რომ მოთხოვნა არ შეცვლილა, 1-მა მიუთითა, რომ მოთხოვნა გაზრდილია დისტანციურ ფორმატზე, 1- გამოკითხულის თქმით შერეულ ფორმატზე, ხოლო 1 დაწესებულება მიუთითებს, რომ არ ფლობს საკმარის ინფორმაციას.


27 გამოკითხულიდან 25-მა (93%-მა) მიუთითა, რომ მცირეკრედიტიან პროგრამებზე გაიზრდება მოთხოვნა, ხოლო 2-მა (7%) მიუთითა რომ არ ფლობს საკმარის ინფორმაციას.

დიაგრამა 1.8. როგორ ფიქრობთ, გაიზრდება თუ არა მომავალში მოთხოვნა მცირეკრედიტიან პროგრამებზე?



გამოკითხულ დაწესებულებებს ვთხოვეთ მიეთითებინათ როგორ უნდა ხეზოდეს მცირეკრედიტიანი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა, 27-დან 1-მა (4%) გამოკითხულმა მიუთითა, რომ მცირეკრედიტიანი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა არ უნდა ხდებოდეს, 14-მა (52%) გამოკითხულმა აღნიშნა რომ უნდა ხდებოდეს ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმით ხოლო, 12-მა (44%) გამოკითხულმა მიუთითა, რომ მცირეკრედიტიანი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა უნდა ხდებოდეს უსდ-ს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით.

დიაგრამა 1.9. თქვენი აზრით როგორ უნდა შემოწმდეს მცირეკრედიტიანი პროგრამის ხარისხი?



იმ დაწესებულებებმა რომლებმაც მცირეკრედიტიანი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმად ხარისხის შიდა უზრუნველყოფა დაასახელეს, წარმოადგინეს რამდენიმე მოსაზრება დაწესებულების ფარგლებში მცირეკრედიტიანი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის, კერძოდ:

ნაწილმა აღნიშნა, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი იგივე უნდა იყოს რაც აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში; უნდა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, უსდ-ს ხარისხის სამსახურებმა უნდა ჩაატარონ კვლევები პროგრამის მსმენელთა გამოკითხვა, აწარმოონ მონიტორინგი. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს დემინგის ციკლის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ პასუხებში ნაკლებად იყო გამოკვეთილი ხარისხის შიდა მექანიზმების სამართლებრივი საფუძვლებს საკითხი.

დაწესებულებებს (სულ 7 დაწესებულება) ვინც მიუთითა, რომ მცირეკრედიტიანი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა უნდა ხდებოდეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით ვთხოვეთ დააკონკრეტებინათ მექანიზმები და დაეასახელებინათ შიდა ხარისხის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები.


იმ გამოკითხულებს, ვინც მიუთითა, რომ მცირეკრედიტიანი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა უნდა ხდებოდეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით გთხოვეთ, დააკონკრეტოთ მექანიზმები და დაასახელოთ სამართლებრივი საფუძვლები, ერთმა გამოკითხულმა აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ უნდა შემუშავდეს სამართლებრივი ჩარჩო პროგრამის ხარისხის შეფასებისთვის. 7-მა გამოკითხულმა მიუთითა, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი იგივე უნდა იყოს რაც აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში. უნივერსიტეტის მიერ გაწერილი ხარისხის შიდა რეგულაციების მიხედვით უნდა მოხდეს მცირეკრედიტიანი პროგრამების შეფასება, ნაწილმა დააკონკრეტა რომ უნდა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, უსდ-ს ხარისხის სამსახურებმა უნდა ჩაატარონ კვლევები პროგრამის მსმენელთა გამოკითხვა, აწარმოონ მონიტორინგი და ა.შ. 1-მა დაწესებულებამ მიუთითა რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს დემინგის ციკლის

მიხედვით, 2 გამოკითხულს გაუჭირდა მოცემულ კითხვაზე პასუხის გაცემა. აღსანიშნავია, რომ პასუხებში ნაკლებად იყო გამოკვეთილი ხარისხის შიდა მექანიზმების სამართლებრივი საფუძვლებს საკითხი.

იმ დაწესებულებების წარმომადგენლებს ვინც მიუთითა, რომ მცირეკრედიტიანი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა უნდა ხდებოდეს გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით ვთხოვეთ დაესახელებინათ გარე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია და ხარისხის უზრუნველყოფისთვის დადგენილი სტანდარტი. 22-დან 2 (9%)გამოკითხულის აზრით მცირეკრედიტიანი პროგრამების გარე ხარისხის შეფასება უნდა მოხდეს დაწესებულების ავტორიზაციის გზით. 14-მა (64%) დაწესებულებამ მიუთითა რომ გარე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია უნდა იყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ყველა გამოკითხული მიუთითებს, რომ აუცილებელია შესაბამისი რეგულაციებისა და სტანდარტების შემუშავება მცირეკრედიტიანი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის 2-მა (9%)გამოკითხულმა აღნიშნა რომ უნდა შემუშავდეს დარგობრივი მახასიათებლები მცირეკრედიტიანი პროგრამებისთვის. 1-მა (4.5%) გამოკითხულმა მიუთითა რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დარგის მარეგულირებელ ორგანიზაციასთან ერთად, ხოლო 1-მა (4.5%) გამოკითხულმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი უნდა გულისხმობდეს ხარისხის უზრუნველყოფას დარგის მარეგულირებელი ორგანიზაციის მიერ. 2 (9%) გამოკითხულს გაუჭირდა მოცემულ კითხვაზე პასუხის გაცემა.

27 გამოკითხულიდან პროგრამის მოცულობის გასაზომად ECTS კრედიტების გამოყენება 22-მა (81%) მიიჩნია მიზანშეწონილად ხოლო 5-მა (19%) მიუთითა რომ მცირეკრედიტიანი პროგრამების მოცულობის გაზომვა უმჯობესი იქნებოდა საათებში.

დიაგრამა 1.10. იმ შემთხვევაში თუ მცირეკრედიტიანი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა ხდება შიდა ან/და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით გთხოვთ, მიუთითოთ როგორ გაიზომება პროგრამების მოცულობა?




კითხვაზე, საშუალოდ რამდენი კრედიტის მოცულობის მცირეკრედიტიან პროგრამებს ახორციელებენ დაწესებულებები უპასუხა 7 დაწესებულების წარმომადგენელმა, 2-მა გამოკითხულმა მიუთითა რომ მათი მცირეკრედიტიანი პროგრამების მოცულობაა 10 კრედიტი, ხოლო 1-მა დააკონკრეტა, რომ 1 ECTS კრედიტი 20 საათს უტოლდება. 1 დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა რომ მათი მცირეკრედიტიანი პროგრამის მოცულობაა 5 ECTS კრედიტი (125 საათი). 1-დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ

ახორციელებენ პროგრამებს 4-8 ECTS კრედიტების მოცულობით; გამოკითხულთაგან 1-მა დაწესებულებამ აღნიშნა რომ ახორციელებს 50 კრედიტის მოცულობის მცირეკრედიტიან პროგრამებს ხოლო 2-მა მიუთითა რომ ახორციელებს 30 კრედიტის მოცულობის მცირეკრედიტიან პროგრამებს, ასევე 1-მა გამოკითხულმა აღნიშნა რომ კრედიტების მოცულობა პროგრამების მიხედვით განსხვავებულია.

გამოკითხვაში მონაწილეებს ვთხოვეთ მიეთითებინათ რამდენად ეთანხმებიან დებულებას, რომ მცირეკრედიტიანი პროგრამები კვალიფიკაციებზე გამსვლელი უნდა იყოს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში უნდა აისახოს. აღნიშნულთან დაკავშირებით 27 გამოკითხულიდან 5-მა მიუთითა რომ მცირეკრედიტიანი პროგრამები არ უნდა იყოს კვალიფიკაციაზე გამსვლელი, 13-მა მიუთითა, რომ უნდა იყოს კვალიფიკაციაზე გამსვლელი და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოშიც უნდა აისახოს, ხოლო 9 გამოკითხულს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.

დიაგრამა 1.11. ეთანხმებით თუ არა დებულებას, რომ მცირეკრედიტიანი პროგრამები კვალიფიკაციებზე გამსვლელი უნდა იყოს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში უნდა აისახოს?



27 გამოკითხულიდან მხოლოდ 8 გამოკითხულმა მიუთითა თუ რა ფორმით ხორციელდება უსდ-ს მიერ მცირეკრედიტიანი პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება. 8-დან 7მა გამოკითხულმა მიუთითა რომ სწავლის შედეგების მიღწევას ადასტურებენ უსდ-ს მიერ გაცემული სერთიფიკატით, ხოლო 1-მა გამოკითხულმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერთიფიკატით.

ამ გამოკითხულთაგან მცირეკრედიტიანი პროგრამების სწავლის შედეგების დაკავშირებას აკრედიტირებულ პროგრამებთან ახდენს მხოლოდ 3 დაწესებულება, ხოლო 5 დაწესებულება აკრედიტირებულ პროგრამებს არ უკავშირებს მცირეკრედიტიანი პროგრამების ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს.

მათ ვინც დადებითად უპასუხა აღნიშნულ შეკითხვას დამატებით მოიყვანეს მაგალითები თუ რომელი მცირეკრედიტიანი პროგრამების სწავლის შედეგებს უკავშირებენ აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ესენია: ფსიქოლოგიის მცირეკრედიტიანი პროგრამა; ერთმა დაწესებულებამ აღნიშნა, რომ „მცირეკრედიტიანი კურსები: "Tourism Destination Management", "Media and modern sicity", Intercultural Communications in Tourism" დაკავშირებულია ტურიზმისა და ჟურნალისტიკის აკრედიტირებულ პროგრამებთან, გამიზნულია გთუნის პარტნიორი უნივერსიტეტის მაგისტრებისთვის (მაგ.ინგოლსტატის უნივერსიტეტი, გერმანია). მიღებული კრედიტების აღიარება ხდება მათ მიერვე“; ტურიზმისა და

მევენახეობა-მელვინეობის მიმართულებით მცირეკრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს უკავშირებს აკრედიტებულ პროგრამებს.

უმალეს განათლებაში მცირეკრედიტიანი პროგრამების ფორმალიზების შესახებ დებულებას ეთანხმება 27 -დან 20 გამოკითხული (74%), ხოლო 7 გამოკითხული (24%) ნაწილობრივ ეთანხმება.

უმალესი განათლების სისტემის მოქნილობაზე მცირეკრედიტიანი პროგრამების ფორმალიზების გავლენას, 27 დან 6 გამოკითხული (22%) ნეიტრალურად აფასებს, ხოლო 21 გამოკითხულს (78%), მიაჩნია რომ პოზიტიურ გავლენას იქონიებს.

გამოკითხულებს ვთხოვეთ მიეთითებინათ რა წინააღმდეგობები არსებობს მცირეკრედიტიანი პროგრამების ფორმალიზებისთვის? გამოკითხვის მონაწილეებს შეეძლოთ მოენიშნათ რამდენიმე პასუხი,

- საკანონმდებლო ჩარჩო 19 (68%);
- შესაბამისი პრაქტიკის არარსებობა 17 (61%);
- დასაქმების ბაზრის მხრიდან დაბალი მოთხოვნა 8 (29%);
- დაინტერესებული პირების დაბალი ინფორმირებულობა 13(46%);
- მიღწეული სწავლის შედეგების ფორმალური განათლების ფარგლებში აღიარების შეზღუდვები 12 (43%);
- საქართველოში განათლება არ არის დასაქმების ბაზრის შესაბამისი 1 (3.7%).

გამოკითხულების აზრით, უმალეს განათლების პოლიტიკაში მცირეკრედიტიანი პროგრამებისთვის გააქტიურების პროცესში მონაწილე დაინტერესებული მხარეები არიან (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მონიშვნა).

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი-10 (37%) გამოკითხული, დამსაქმებლები-4 (15%) გამოკითხული, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო-1 გამოკითხული, უ.ს.დ-ები მიუთითა 6-მა გამოკითხულმა (15%), ყველა ზემოთ ჩამოთვლილი 6 გამოკითხული (15%).

გამოკითხვაში მონაწილეებს ვთხოვეთ განესაზღვრათ მცირეკრედიტიანი პროგრამების თემის აქტუალიზაციის საკითხში მათ მიერ მითითებული დაინტერესებული მხარეების როლი, გამოკითხულთა აზრით, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ზემოაღნიშნულ პროცესში, გადამწყვეტია, ვინაიდან სწორედ დაინტერესებული მხარეების მიერ მოხდება სწორი ორიენტირის მიღება მცირეკრედიტიანი პროგრამებისთვის შესაბამისი საჭიროებების, რესურსებისა და მოლოდინების განსაზღვრისთვის; ამ მიმართულებით ინიციატივების, ტრენინგებისა და რეკომენდაციების შემუშავებისთვის; კვალიფიკაციების თავსებადობის, აღიარების და მობილობის ხელშეწყობის ნორმების დანერგვის, მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებით რეგულაციების შემუშავების; სამართლებრივი უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მიმართულებით.

27 გამოკითხულიდან 26 (96%) დაინტერესებულია მცირეკრედიტიანი პროგრამების (მიკროკრედიტების) თემაზე გამართულ კონსულტაციებში მონაწილეობით, ხოლო 1-გამოკითხულს (4%) გაუჭირდა მითითებულ კითხვაზე პასუხის გაცემა.

კითხვაზე, თუ რა მხარდამჭრი ღონისძიებების გატარებაა მიზანშეწონილი უსდებისთვის მცირეკრედიტიანი პროგრამების შესახებ, გამოკითხვის შედეგები შემდგანირად გადანაწილდა (გამოკითხვაში ჩართულ დაწესებულებებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოენიშნათ რამდენიმე პასუხი).

- კოლეგიალური საგანმანათლებლო ღონისძიებები (PLA)- 2 გამოკითხული;
- საინფორმაციო შეხვედრები 7 გამოკითხული;
- ტრენინგები/ვორქშოპები- 12 გამოკითხული;
- სასწავლო ვიზიტები საზღვარგარეთ - 3 გამოკითხული;
- ყველა ჩამოთვლილი პასუხი -4 გამოკითხული

დამატებითი მოსაზრებები და კომენტარები

გამოკითხულთა ნაწილმა მადლობა გადაუხადა ცენტრს მცირეკრედიტიანი პროგრამების საკითხის აქტუალიზაციისთვის.

ნაწილის აზრით, მცირეკრედიტიანი პროგრამების განხორციელების საშუალება უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, არამედ ტრენინგ ცენტრებსაც. სხვა შემთხვევაში, მოქნილობა არ იქნება უზრუნველყოფილი. თუმცა, ისიც, უნდა აღინიშნოს, რომ დადგება კურსების გარე ხარისხის უზრუნველყოფის საკითხი.

ნაწილმა აღნიშნა, რომ მცირეკრედიტიანი კურსების შემუშავების აუცილებლობა აუცილებელია ბაზრის კვლევის საფუძველზე განისაზღვროს და არა სპონტანურად.

ამდენიმე გამოკითხულმა აღნიშნა, რომ კითხვარის ფორმაზე თანდართული მიკროკრედიტების პროგრამების ევროპული გამოცდილების ანალიზის დოკუმენტებს გაეცნენ მიაჩნიათ რომ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შმეცველია.

გამოკითხულებმა ასევე მიუთითეს, რომ საწყის ეტაპზე საჭიროა მცირეკრედიტიანი პროგრამების პოპულარიზაცია მოსახლეობაში და მკაცრი კონტროლი რომ ხარისხის უზრუნველყოფა მაღლ დონეზე განხორციელდეს.

ნაწილის აზრით, მცირეკრედიტიანი პროგრამები ძალზე სასარგებლო იქნება აკადემიური პერსონალისთვის, რომელიც მოახდენს სწავლების სფეროს ფარგლებში ვიწრო მიმართულებით ცოდნის ამაღლებას, უნარების გაუმჯობესებას და განახლებას, ახალი კომპეტენციების გამომუშავებას. უდს-ები უფრო მკაფიოდ განსაზღვრავენ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ინოვაციურ და თანამედროვე შეთავაზებებს, კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს არ ექნება მხოლოდ ფორმალური ხასიათი და პერსონალიც უკეთ გააცნობიერებს საკუთარ საჭიროებებს.

შედეგების ინტერპრეტაცია და ანალიზი

გამოკითხვამ ცხადყო, რომ იმ 7 უსდ-დან რომლებმაც აღნიშნეს რომ მათი დაწესებულება ახორციელებდა ან ამჟამად ახორციელებს მცირეკრედიტიან პროგრამებს 5 სასწავლო უნივერსიტეტია, ხოლო 2- უნივერსიტეტი. აქედან 4 არის კერძო სამართლის იურიდიული პირი შპს, ხოლო 3 მათგანი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

აღნიშნული 7 გამოკითხულიდან ყველა მათგანი ეთანხმება დებულებას, რომ მიკროკრედიტების დანერგვით უმაღლესი განათლება გახდება უფრო მოქნილი და ინკლუზიური. ამ უსდ-ებიდან შვიდივეს მიაჩნია, რომ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრმა ხელი უნდა შეუწყოს მიკროკრედიტების

დანერგვას უმაღლესი განათლების სისტემაში, შვიდივე გამოკითხული ეთანხმება მოსაზრებას იმის შესახებ რომ საჭიროა მიკროკრედიტების თემა სამართლებრივ დონეზე დარეგულირდეს და ფორმალიზდეს.

7 გამოკითხულიდან მხოლოდ 6-მა მათგანმა შეაფასა, თუ რამდენად მაღალია მოთხოვნა მცირეკრედიტიან პროგრამებზე, რომელიც თანახმადაც 2-მა გამოკითხულმა მიუთითა, რომ არ ფლობს საკმარის ინფორმაციას ხოლო, 4- გამოკითხულის აზრით მცირეკრედიტიან პროგრამებზე მოთხოვნა მაღალია, ხოლო მათგან 3-მა აღნიშნა რომ მოთხოვნა მომატებულია წინა წლებთან შედარებით. 7-დან 6 მა გამოკითხულმა მიუთითა რომ მათი ვარაუდით მცირეკრედიტიან კურსებზე მოთხოვნა გაიზრდება.

ზემოხენებული 7 დაწესებულებიდან 4-მა მიუთითა, რომ მცირეკრედიტიანი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა დაწესებულების შიდა ხარისხის მექანიზმებით უნდა მოხდეს, ხოლო 3 გამოკითხულის აზრით მცირეკრედიტიანი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა უნდა ხდებოდეს გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით.

7 დაწესებულებიდან შეკითხვაზე, თუ ვინ უნდა იყოს მცირეკრედიტიანი პროგრამების ხარისხზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია 5-მა (71%) აღნიშნა რომ ეს ორგანიზაცია უნდა იყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. 2 (29%) დაწესებულებას არ აქვს პასუხი მითითებულ კითხვაზე.

27 -დან მხოლოდ 8 გამოკითხულმა მიუთითა თუ რა ფორმით ხორციელდება იმ დაწესებულებების უმრავლესობა (87.5%) რომლებიც მცირეკრედიტიან პროგრამებს ახორციელებენ სწავლის შედეგების მიღწევას ადასტურებენ უსდ-ს მიერ გაცემული სერთიფიკატით, მხოლოდ ერთმა დაწესებულებამ (12.5%) აღნიშნა, რომ მცირეკრედიტიანი პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერთიფიკატით. აღნიშნული დაწესებულებებიდან, მხოლოდ 37.5% უკავშირებს მცირეკრედიტიანი პროგრამების სწავლის შედეგებს აკრედიტირებულ პროგრამებს.

უმაღლეს განათლებაში მცირეკრედიტიანი პროგრამების ფორმალიზების შესახებ დებულება გამოკითხვაში მონაწილეთა 74% სრულებით, ხოლო 24% ნაწილობრივ ეთანხმება.

უმაღლესი განათლების სისტემის მოქნილობაზე მცირეკრედიტიანი პროგრამების ფორმალიზების გავლენას, გამოკითხულთა 22% ნეიტრალურად აფასებს, ხოლო 2 78% მიიჩნევს, რომ მცირეკრედიტიანი პროგრამების ფორმალიზება განათლების სისტემაზე პოზიტიურ გავლენას იქონიებს.

გამოკითხულთა აზრით მცირეკრედიტიანი პროგრამების ფორმალიზებისთვის განათლების სისტემაში შემდეგი წინააღმდეგობები არსებობს: (გამოკითხვის მონაწილეებს შეეძლოთ მოეწინააღმდეგებინათ რამდენიმე პასუხი),

- საკანონმდებლო ჩარჩო 19 (68%);
- შესაბამისი პრაქტიკის არარსებობა 17 (61%);
- დასაქმების ბაზრის მხრიდან დაბალი მოთხოვნა 8 (29%);
- დაინტერესებული პირების დაბალი ინფორმირებულობა 13(46%);
- მიღწეული სწავლის შედეგების ფორმალური განათლების ფარგლებში აღიარების შეზღუდვები 12 (43%);
- საქართველოში განათლების შეუსაბამობა დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან, 1 (3.7%).

გამოკითხულების აზრით, უმაღლეს განათლების პოლიტიკაში მცირეკრედიტიანი პროგრამებისთვის გააქტიურების პროცესში მონაწილე დაინტერესებული მხარეები არიან: განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრი (37%); დამსაქმებლები (15%); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (4%); უ.ს.დ-ები (22%); ყველა ზემოთ ჩამოთვლილი 6 (22%).

გამოკითხვაში მონაწილეთა 96% დაინტერესებულია მცირეკრედიტიანი პროგრამების (მიკროკრედიტების) თემაზე გამართულ კონსულტაციებში მონაწილეობით.